

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„31“ „10“ 2014 წელი

ეგზ. № 1

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში *აღ 33/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის ობიექტი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	6
აუდიტის მიდგომა	7
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	8
უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	10
გარემოება №1. სამეურნეო მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვა	10
გარემოება №2. ნაკადების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით	12
გარემოება №3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	13
გარემოება №4. წმინდა ღირებულების ანგარიში	14
გარემოება №5: ინვენტარიზაცია	16
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	17
ხელფასების გაცემა ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით	17
აუდიტის მოსაზრება	18
ორგანიზაციის ბალანსი	19
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	21
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	25
ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	27
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	29
ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	30
ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ	31
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	32
ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ	36
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	37
ორგანიზაციის ბალანსი	38
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	40

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	45
ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	47
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	50
ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	51
ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ.....	53
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	54
ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ	58
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.....	59
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	60
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	60

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბალანსს და ბალანსის დანართ ფორმებს, კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების მოძრაობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებისა და „ბიუჯეტების

დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველსაყოფად, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ახმეტის მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროა საკუთარი შემოსულობები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებას.

2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტის 2012 წლის შემოსულობებმა შეადგინა 7 256.6 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 9152.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლის შემოსულობებიდან 13077.0 ათასი ლარი (79,7%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის:

ტრანსფერი	2012 წელი	2013 წელი	სულ
გათანაბრებითი	3262.2	3391.2	6653.4
მიზნობრივი	110.0	120.0	230
სპეციალური	2301.6	3892.0	6193.6
სულ:	5673.8	7403.2	13077.0

2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 17 202.7 ათასი ლარი. გადასახდელების 54.7%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 45.3%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ფინანსურ საქმიანობაში არსებული რისკების გამოვლენა/პრევენციას. არ ხდება თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. ასევე, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას ავტორიზაციის სათანადო დონეებით.

2012-2013 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტში ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსურ ანგარიშგებაში მონაცემების გადმოტანა ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტი სამეურნეო ოპერაციებს აღრიცხავს ელექტრონულ ბარათებზე (რომლებიც აწყობილია Excel-ის

ფორმაში), ფინანსური ანგარიშგების შედგენისას აღნიშნული ელექტრონული ფორმების გამოყენება საერთოდ არ ხდება.

იმის გათვალისწინებით, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად არ იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს, გამგეობას არ აქვს შემუშავებული სათანადო კონტროლის სისტემა შესაბამის ანგარიშებზე დაფიქსირებული გატარებების სისწორის შესამოწმებლად, რაც იწვევს:

- ✓ სამეურნეო ოპერაციების არასრულად აღრიცხვას;
- ✓ სამეურნეო ოპერაციების არასწორად კლასიფიცირებას;
- ✓ სამეურნეო ოპერაციების ასახვას არაზუსტი თანხით.

გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი დამოუკიდებელია ბუღალტრული აღრიცხვისაგან, ბალანსისა და ბალანსის დანართ ფორმებში ასახული ინფორმაცია არსებითად განსხვავდება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებისგან.

ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხორციელდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ ასახვა და წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროცედურებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი. შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც მაღალი.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ

ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;
- ✓ ცვეთის დარიცხვა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოიჯვანა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები შემოსავლების განსაზღვრა და სრულად აღრიცხვა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც საჭიროებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვას.

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

გარემოება №1. სამეურნეო მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვა

კრიტერიუმები: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ - მიხედვით, ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ მემორიალურ-ორდერული ან სხვა ფორმით ქაღალდზე ან ელექტრონული სისტემების მეშვეობით. ყველა მემორიალური ორდერი ტარდება „მთავარ წიგნში“. „მთავარი წიგნი“ იხსნება ყოველი წლის დასაწყისში, გასული წლის წლიური ბალანსის საბოლოო ნაშთების – საწყისი ნაშთების სახით გადმოტანით. ორგანიზაციაში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება. ბუღალტრული ანგარიშების გეგმის სტრუქტურა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშების დაჯგუფებას ვადიანობის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) მიხედვით.

არსებული მდგომარეობა: ახმეტის მუნიციპალიტეტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს მათ მიერ შემუშავებული ელექტრონული ფორმების შესაბამისად.¹ აღნიშნული პროგრამის მიხედვით, დოკუმენტების შემოწმებისა და მიღების შემდეგ, სამეურნეო ოპერაციები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა აღირიცხოს თითოეული ანგარიშისთვის გახსნილ ელექტრონულად შემუშავებულ ფორმებში. იქედან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს დანერგილი სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აღრიცხვის ბარათებზე ინფორმაციის საიმედოდ ასახვას, ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეურნეო ოპერაცია გამოტოვებულია ან არასწორ ანგარიშებზეა კლასიფიცირებული. გამგეობის ელექტრონულ პროგრამაში შემუშავებულია

¹ პროგრამა აწყობილია Excel-ის ბაზაზე.

„მთავარი წიგნისა“ და მემორიალური ორდერების ფორმები, მაგრამ მათში ასახული მონაცემები არ გადადის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2012-2013 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტს ფინანსური ანგარიშგება შედგენილი აქვს არა ელექტრონულ ფორმებში ასახული ინფორმაციის გამოყენებით, არამედ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით. ელექტრონული ბარათებისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მონაცემებს შორის სხვაობა ასახულია ცხრილში.

ბალანსისა და ბუღალტრული ჩანაწერების ურთიერთშედარება (ათასი ლარი)

	2012			2013		
	ბალანსი (I)	ელ. ბარათი (II)	სხვაობა (I-II)	ბალანსი (I)	ელ. ბარათი (II)	სხვაობა (I-II)
შრომის ანაზღაურება	1 030.5	1 018.2	12.3	1 408.0	1 390.1	17.9
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	87.7	88.3	-0.6	87.6	88.2	-0.6
მივლინება	58.3	61.6	-3.3	43.5	22.2	21.3
წარმომადგენლობითი ხარჯი	61.7	57.8	3.9	66.2	74.3	8.1
ოფისის ხარჯი	557.2	109.3	447.9	545.2	554.4	-9.2
ძირითადი აქტივები და მატერიალური მარაგები ²	3 606.5	3 394.6	211.9	3 999.0	3 543.1	455.9
სუბსიდია	1 908.7	2 006.1	-97.4	2 020.2	2 030.5	-10.3
სოციალური უზრუნველყოფა	451.1	458.7	-7.6	513.5	213.0	300.5
ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	119.0	110.7	-9.7	119.7	111.7	8

გავლენა: ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო ბაზა განსხვავდება მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისგან. შესაბამისად, გამგეობის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები არ იძლევა სათანადო ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და მის

² მანქანა-დანადგარების გამოკლებით.

საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, ამიტომ დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ ეფუძნება ორგანიზაციის სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის სისტემას, ამიტომ ძირითადი აუდიტორული პროცედურების განხორციელების მიზნით, აუდიტის ჯგუფის მხრიდან მათზე დაყრდნობა არ არის მიზანშეწონილი.

გარემოება №2. ნაკადების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით

კრიტერიუმები: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მიხედვით, ნაკადების ბუღალტრულ ჩანაწერებში აღრიცხვა უნდა მოხდეს დარიცხვის მეთოდით. აღნიშნული მეთოდის გამოყენება გულისხმობს ნაკადის აღრიცხვაში ასახვას მაშინ, როდესაც შესაბამისი ინსტიტუციონალური ერთეული იღებს ან გასცემს განსაზღვრულ მოვლენასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს ან შესაძლოა, რომ ამ ერთეულმა მომავალში მიიღოს ან გასცეს სარგებელი.

არსებული მდგომარეობა: 2012-2013 წლების ახმეტის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსებში ნაკადები, ანუ მოვლენა, რასაც შედეგად მოსდევს ეკონომიკური ღირებულების შექმნა, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღირიცხებოდა საკასო მეთოდით.

გავლენა: მუნიციპალიტეტის მიერ დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

ნაკადების საკასო მეთოდით აღრიცხვა არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსისა და მისი დანართების სამართლიან წარდგენაზე. კერძოდ, არასწორადაა წარმოდგენილი:

- ბალანსი;
- ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი - ფორმა № 2);
- ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა № 3);
- ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა № 5);
- ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე (ბალანსის დანართი - ფორმა № 6).

გარემოება №3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

კრიტერიუმი: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად, აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მათი მიღების შემდეგ. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ნიშნავს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება მათი საწყისი

(პირვანდელი) ღირებულების გამრავლებით წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე.

არსებული მდგომარეობა: პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ორგანიზაციის ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება არა ინსტრუქციით განსაზღვრული ცვეთის ნორმების შესაბამისად, არამედ ჯგუფურად, ყველა აღრიცხულ აქტივზე 10%-ის ოდენობით. ამასთან აქტივებს ცვეთა ერიცხება მათ ნარჩენ ღირებულებაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ინსტრუქციასთან.

გავლენა: აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსებში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის დანართ ფორმებზე: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5). ასევე დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

გარემოება №4. წმინდა ღირებულების ანგარიში

კრიტერიუმი: წმინდა ღირებულების ანგარიშზე აისახება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების, შემოსავლების, ხარჯებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშები, ასევე აღირიცხება ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს შორის აქტივების, საქონლისა და მომსახურების

უსასყიდლოდ მიღება და გადაცემა. წმინდა ღირებულება არის სხვაობა ყველა აქტივის (გარდა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივებისა) მთლიან ღირებულებასა და ყველა ვალდებულების (გარდა ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილი ვალდებულებებისა) მთლიან ღირებულებას შორის.

არსებული მდგომარეობა: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ - ფორმა № 3-ში, „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ დაშვებული შეცდომები არსებითი და ყოვლისმომცველია, კერძოდ:

- პასუხისმგებელი პირის განმარტებით, „კაპიტალის წმინდა ღირებულების ანგარიშის“ შედგენის მეთოდოლოგია დაბალანსების მიზნით განისაზღვრა შემდეგნაირად: კაპიტალის წმინდა ღირებულების ანგარიშზე ასახულია არაფინანსური, ფინანსური და სხვა საგადადასახადო აქტივების ჯამი.
- საანგარიშო პერიოდის დასასრულს მუნიციპალიტეტს წმინდა ღირებულების ანგარიშში არასწორად აქვს აღრიცხული სადებეტო ნაშთი 2012 წელს - 127.8 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 113.6 ათასი ლარი.

გავლენა: აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსი. კერძოდ, „წმინდა ღირებულების“ მუხლი და ორგანიზაციის ბალანსის დანართი - ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“. ასევე დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

გარემოება №5: ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების³ - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

³ 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

არსებული მდგომარეობა: 2012-2013 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია⁴ არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

გავლენა: იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2012-2013 წლებში ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა, არსებობს მაღალი რისკი, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ ჩაბარდეს პასუხისმგებელ პირს. აქტივების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობა გულისხმობს იმას, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი მისსავე საკუთრებაში არსებულ ქონებასა და მატერიალური აქტივების მოძრაობაზე. რადგან მუნიციპალიტეტი არ ატარებს ინვენტარიზაციას დადგენილი ვადების შესაბამისად, დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

ხელფასების გაცემა ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტი 2012-2013 წლებში, მომსახურებებზე ხელფასს გაცემს სალაროს საშუალებით, ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით კი, საჯარო მოსამსახურეს ხელფასი ერიცხება უნაღდო ანგარიშსწორებით. შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტს დარღვეული აქვს კანონის აღნიშნული ნორმა. ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, 2012-2013 წლებში თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი შეადგენს 2 416.3 ათას ლარს, მათ შორის, სალაროდან ხელფასის სახით გაცემულია 90.5 ათასი ლარი.

⁴ მათ შორის, არ განხორციელებულა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაცია, რომელიც სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ.

აუდიტის მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს უარყოფით მოსაზრებას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველია ფინანსური ანგარიშგების ყველა არსებითი ასპექტის შეუსაბამობა შემდეგ საკანონმდებლო მოთხოვნებთან:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.
- ✓ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

ორგანიზაციის ბალანსი

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ფორმა №1)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	922632	127761
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		25912
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		

320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
390	შენობა-ნაგებობები	2110	3871040	6768554
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	200778	398693
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	2617672	2355905
420	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400	158540	91035
	ბალანსი		7770662	9767860
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელები	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული	3270		

	ვალდებულებები			
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	50000	
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	7720662	9767860
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		7770662	9767860
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	281645	281645
750	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		
810	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09		
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10		

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ბალანსის დანართი - ფორმა №2)

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯ)	ფაქტობრივი ხარჯი
1. ხარჯები	4696600	4696600	4525765	4525765	4525765	4525765
1.1 შრომის ანაზღაურება	1041800	1041800	1030546	1030546	1030546	1030546
1.1.1 ხელფასები	1041800	1041800	1030546	1030546	1030546	1030546
1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	1041800	1041800	1030546	1030546	1030546	1030546
1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	970800	970800	966349	966349	966349	966349
1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო						
1.1.1.1.3 პრემია	71000	71000	64197	64197	64197	64197

1.1.1.1.4 დანამატი						
1.1.1.1.5 ჰონორარი						
1.1.1.1.6 კომპენსაცია						
1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით						
1.1.2 სოციალური შენატანები						
1.1.2.1 ფაქტობრივად განხორციელებული სოციალური შენატანები						
1.1.2.2 პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები						
1.2 საქონელი და მომსახურება	1112900	1112900	1005344	1005344	1005344	1005344
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	96300	96300	87678	87678	87678	87678
1.2.2 მივლინებები	65500	65500	58286	58286	58286	58286
1.2.3 ოფისის ხარჯები	621200	621200	587196	587196	587196	587196
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	76000	76000	61708	61708	61708	61708
1.2.5 კვების ხარჯები	1700	1700	1642	1642	1642	1642
1.2.6 სამედიცინო ხარჯები	500	500	240	240	240	240
1.2.7 რბილი ინვენტარის, უნიფორმის ა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები დაკავშირებული ხარჯები	10500	10500	7650	7650	7650	7650
1.2.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა შენახვის ხარჯები მოვლა-შენახვის ხარჯები	134300	134300	118986	118986	118986	118986
1.2.9 სამხედრო ტექნიკის ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები						
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	106900	106900	81958	81958	81958	81958
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება						
1.4 პროცენტი						
1.4.1 საგარეო						

ვალდებულებებზე						
1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე						
1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე						
1.4.1.3 კომერციულ კრედიტორებზე						
1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე						
1.4.2 საშინაო ვალზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა						
1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალზე						
1.5 სუბსიდიები	1929000	1929000	1908744	1908744	1908744	1908744
1.6 გრანტები	130000	130000	130000	130000	130000	130000
1.6.1 უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს						
1.6.1.1 მიმდინარე						
1.6.1.2 კაპიტალური	130000	130000	130000	130000	130000	130000
1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს						
1.6.2.1 მიმდინარე						
1.6.2.2 კაპიტალური						
1.6.3 გრანტების სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს						
1.6.3.1 მიმდინარე						
1.6.3.2 კაპიტალური						
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	482900	482900	451131	451131	451131	451131
1.7.1 სოციალური დაზღვევა	3000	3000	1977	1977	1977	1977
1.7.1.1 ფულადი ფორმით	3000	3000	1977	1977	1977	1977
1.7.1.2 სასაქონლო ფორმით						
1.7.2 სოციალური დახმარება	479900	479900	449154	449154	449154	449154

1.7.2.1 ფულადი ფორმით	479900	479900	449154	449154	449154	449154
1.7.2.2 სასაქონლო ფორმით						
1.7.3 დამპირავების მიერ გაწეული სოციალური დახმარება						
1.7.3.1 ფულადი ფორმით						
1.7.3.2 სასაქონლო ფორმით						
1.8 სხვა ხარჯები						
1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა						
1.8.1.1 დივიდენდები						
1.8.1.2 კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები						
1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვეო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება						
1.8.1.4 რენტა						
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები						
1.8.2.1 მიმდინარე						
1.8.2.2 კაპიტალური						

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე	
	გეგმით	ფაქტობრივად	გეგმით	ფაქტობრივად
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	207	204		
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	47	47		

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1)

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები	3758000	3758000	3526093	3526093	3526093
1.1 ძირითადი აქტივები	3758000	3758000	3526093	3526093	3526093
1.1.1 შენობა-ნაგებობები	3478800	3478800	3308100	3308100	3308100
1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	159000	159000	149706	149706	149706
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	732400	732400	655807	655807	655807
1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები					
1.1.1.4 ქუჩები			5635	5635	5635
1.1.1.5 გზები	1239800	1239800	1205364	1205364	1205364
1.1.1.6 ხიდები	28300	28300	27175	27175	27175
1.1.1.7 გვირაბები					
1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	579200	579200	569132	569132	569132
